ოქმი:**ო63.6322230001**
თარიღი:**18/08/2022**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 35

ქ. სამტრედია. 16 აგვისტო, 2022 წელი.

2022 წლის 16 აგვისტოს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ვაჟა სტურუას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში შემოსული წერილობითი მომართვის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

2. საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ლეჟავას, განცხადების შესახებ.

/მომხსენებელი: ვაჟა სტურუა/

3. სხვადასხვა.

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მომხსენებელმა, ბიუროს წევრებს გააცნო, მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვა.

1. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის, 2022 წლის 12 აგვისტოს** N:62-622222493, წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ,,საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ,სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი 26 პროექტის მოწონების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხს.

(მომართვის N: 62-622222493, 12/08/2022 წ. საკრებულოს რეგისტრაციის **N:11-6322224001-63, 12/08/2022 წ.**)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია.

2. **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ლეჟავას, განცხადება** (განცხადების რეგისტრაციის N 63-63222283, 16.08.2022 წელი). განმცხადებელი ითხოვს, 2022 წლის 12 სექტემბრიდან, კუთვნილ შვებულებაში გასვლას. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალება ამავე კომისიის წევრს, ლიზა კრავეიშვილს.

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი